

შპს სიო

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა





მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

- 1.1 დაწესებულება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემას, რომელიც განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად;
- 1.2 პროფესიული პროგრამებისა და დაწესებულების შეფასება ხდება რეგულარულად, ამ წესით წინასწარ გაწერილი და დაგეგმილი შეფასების ინსტრუქციის მიხედვით;
- 1.3 დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- 1.4 პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

- ა) პროგრამის მიმდინარეობისას;
- ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ.

მუხლი 2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

2.1..სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

-  დაგეგმე;
-  განახორციელე;
-  შეამოწმე;
-  განავითარე.

2.1.1. **დაგეგმე** - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები.

2.1.2.**განახორციელე** - სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების მოდიფიკაცია ან კორექტირება.

2.1.3.**შეამოწმე** - დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხის განვითარების სამსახურის მიერ ეცნობება დირექტორს. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2.1.4.**განავითარე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს კითხვარებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

2.2. პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები.

2.3. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შედეგების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის კორექტირება .

2.4. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო პროცესის, პერსონალის, ადამიანური რესურსების, სამსახურების ფუნქციონირების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.

მუხლი 3. ხარისხის შემოწმების - კითხვარების ფორმები

3.1. დაწესებულებაში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები:

3.1.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი(დანართი 1);

3.1.2. პროფესიული სტუდენტის კითხვარი(დანართი 2);

3.1.3. ადმინისტრაციის კითხვარი(დანართი 3);

3.1.4. კურსდამთავრებულთა კითხვარი (დანართი 4);

3.1.5. დამსაქმებლის კითხვარი(დანართი 5).

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

4.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემას ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი და ცვლილებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის გზით.